იაპონიის არასაპროექტო საგრანტო დახმარების ფარგლებში ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის იაპონური უახლესი ავტომატური სისტემის გახსნის ცერემონია

2016 წლის 16 სექტემბერს, იაპონიის არასაპროექტო საგრანტო დახმარების ფარგლებში ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის იაპონური უახლესი ავტომატური სისტემის გახსნის ცერემონია გაიმართა გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოში. ცერმონიას დაესწრნენ გარემოს დაცვის მინისტრი ბატონი გიგლა აგულაშვილი, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ქ-ნი თამარ ბაგრატია, იაპონიის ელჩი საქართველოში ბატონი ტოშიო კაიტანი და სხვა ოფიციალური სტუმრები.

მონიტორინგის სადგური 24 საათიან უწყვეტ რეჟიმში გააკონტროლებს ჰაერის დაბინძურებას და ინფორმაციას მიაწვდის გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ჰაერის სადგურები განთავსებულია ვარკეთილში, ყაზბეგისა და წერეთელის გამზირებზე. აგრეთვე მონიტორინგის სადგური გააკონტროლებს ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობას , აგრეთვე ქარის სიჩქარესა და მიმართულებას.

ორ საგრანტო ხელშეკრულებას იაპონიისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელი მოეწერა 2014 წლის იანვარსა და დეკემბერში. საგრანტო დახმარების ოდენობა შეადგენს ორას მილიონ იაპონურ ენს პირველ ჯერზე ხოლო ასი მილიონი იაპონური ენს მეორე ჯერზე. მონიტორინგის აღჭურვილობა დამზადდა 15 იაპონური საწარმოს მიერ და დაინსტალირდა JICS-ის (იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემა) და შპს ოგავა სეიკის მიერ ქართველ პარტნიორებთან ერთად.